აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2014-დან - 01.09.2015-მდე)

2015 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიში (01.09.2014-დან - 01.09.2015-მდე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

უმაღლესი საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარდგენილი კანონპროექტები, რომლებიც კომისიის წევრების მიერ არის მომზადებული

1. **საქართველოს კანონის პროექტი - „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

კანონპროექტის მომზადებისა და პარლამენტში ინიცირების მიზეზი იყო „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ საურავების ლიბერალიზაცია. კერძოდ, როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 2 მაისს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდა ცვლილება საურავის დაკისრების ახალი მექანიზმის დანერგვის მიზნით, ვინაიდან კანონი ითვალისწინებდა საკმაოდ მკაცრ და შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის საურავებს ჯარიმების გადაუხდელობის შემთხვევებში. კანონში შეტანილი ცვლილებით საურავებთან მიმართებაში ჩამოყალიბდა ლიბერალური მიდგომა და განისაზღვრა ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში საურავის ადეკვატური ოდენობა. კერძოდ, როდესაც მოქალაქე, სამართალდამრღვევი კანონით გათვალისწინებულ ვადაში, კერძოდ, 30 დღეში არ გადაიხდის ან ვერ გადაიხდის ჯარიმას, დაეკისრება საურავი ჯარიმის ორმაგი ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. აღნიშნული ცვლილება შეეხო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საკმაოდ ბევრ მუხლს, თუმცა კოდექსში შემორჩა რამდენიმე მუხლი, რომელსაც 2014 წლის მაისის თვეში განხორციელებული ცვლილება არ შეხებია და კვლავინდებურად საკმაოდ მკაცრ და შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის საურავს ითვალისწინებს ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტის მომზადების მიზეზი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საურავის დარიცხვის სამართლიანი და ადეკვატური მექანიზმის არსებობა და ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი სტანდარტის არსებობა.

კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილების განხორციელებას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლში, რომლითაც განისაზღვრება, რომ ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის კანონით განსაზღვრული 30 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, პირს საურავი დაერიცხება დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. კონკრეტულად კი ეს შემდეგი სახით გამოიყურება: კერძოდ, თუ დღეს ხუთლარიანი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მოქალაქეს ეკისრება 50 ლარი საურავის სახით, მომავალში ამ ცვლილების მიღების შემთხვევაში ეს იქნება მხოლოდ 10

ლარი; ათლარიანი ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში მოქალაქეს ეკისრება 150 ლარი საურავის სახით, მომავალში ამ ცვლილების მიღების შემთხვევაში ეს იქნება მხოლოდ 20 ლარი. აღნიშნული ლიბერალური მიდგომა შეეხება ასევე სხვა უფრო მაღალი ოდენობის საურავებსაც.

აღნიშნული კუთხით ცვლილება ეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს: გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და აღზრდის სფეროში; ტრანსპორტზე, საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის, მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში. მთლიანობაში პროექტით ცვლილება გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 10 მუხლში.

საკანონმდებლო ინიციატივის პარლამენტში ინიცირებამდე კანონპროექტი შენიშვნებისა და წინადადებისათვის გადაგზავნილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ქალაქ თბილისისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ ორგანოებში. აღნიშნულ უწყებებს კანონპროექტის პრინციპებთან და ძირითად დებულებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ წარმოუდგენიათ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტში წარდგენილ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივაზე პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტებმა იმ მოტივით, რომ თითქოს კანონპროექტი იწვევდა გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე და ამისათვის საჭირო იყო საქართველოს მთავრობის თანხმობა (სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ ყოფილა) კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გატანას მხარი არ დაუჭირეს. თუმცა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის წინადადებით კანოპროექტთან დაკავშირებით მსჯელობა და მისი განხილვა პარლამენტის 2015 წლის საშემოდგომო სესიაზე გაგრძელდება.

რაც შეეხება კანონპროექტის ფინანსურ დასაბუთებას, უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან გარკვეული სახის ცვლილებებს განიცდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რამდენიმე მუხლით დაწესებული საურავების ოდენობები, აღნიშნული ზეგავლენას ახდენს, კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლებზე, ხოლო რაც შეეხება კონსოლიდირებულ ბიუჯეტს იგი არ მტკიცდება ხელისუფლების არც ერთი ორგანოს მიერ. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებს უკუქცევით ძალას და შესაბამისად იგი არ იმოქმედებს უკვე დარიცხულ საურავებზე. რაც შეეხება კანონპროექტის ამოქმედების შემდგომ პერიოდს მისი პირობითი გათვლისათვის ვეყრდნობით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებული ინფორმაციას, რომლის თანახმად „2015 წლის 20 აპრილის მდგომარეობით, აღსრულების ეროვნულ ბიუროს ტერიტორიული ორგანოების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წარმოებაში ჯამურად არის 2195 მიმდინარე სააღსრულებო წარმოება“. ამავე ინფორმაციით წარმოდგენილ იქნა სააღსრულებო წარმოებათა საქმეების ოდენობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით (წერილი №36619. 29.04.2015)

თუ პირობითი დაშვებით მივიჩნევთ, რომ სააღსრულებო წარმოებათა აღნიშნული ჯამური ოდენობა ასახავს ერთი საბიუჯეტო წლის მონაცემს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებისათვის, საურავების რაოდენობის ცვლილების და ასევე კანონპროექტის მიღების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, წარმოდგენილი კანონპროექტის გავლენით კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო დონიდან შემცირების

სავარაუდო მინიმალური ოდენობა 2015 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდისათვის ჯამურად შეადგენს 177.7 ათას ლარს.

კანონპროექტის ავტორია – თემურ კახიძე.

2. საქართველოს კანონის პროექტი - „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტით მოხდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ სფეროში ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებრივი გათანაბრება პარლამენტისა და საკრებულოს წევრებთან.

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შევიდა კანონის პირველი მუხლის „ო“ ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისად, პროფესიულ საიდუმლოებად, გარდა აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული ჩამონათვალისა, აგრეთვე მიიჩნეულია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებისათვის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი ინფორმაცია.

პროექტით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მოქმედება აგრეთვე ვრცელდება და შესაბამისად, ცილისწამებისათვის პასუხისმგებლობას აღარ იწვევს განცხადება, რომელიც გაკეთებული იქნება: ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრების მიერ თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, აგრეთვე მათი კომისიების სხდომებზე.

საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ სრულად იქნა მხარდაჭერილი. *(მიღებულია: 10.07.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 20.07.2015.)*

კანონპროექტის ავტორია – თემურ კახიძე.

3. საქართველოს კანონის პროექტი - „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის მიზეზი იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრების წარდგენის/არჩევის ბუნდოვანი ნორმების ამავე კანონის ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა და მრჩევლის კანდიდატურის შერჩევის პროცედურების დაზუსტება.

კანონპროექტით „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35^5 მუხლი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომელშიც სიახლის სახით გათვალისწინებულია შემდეგი:

ა) მრჩევლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 30 კალენდარული დღით ადრე ან მისი უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას კონკურსის გამოცხადების შესახებ, რომლითაც განსაზღვრავს მრჩევლობის კანდიდატთა მიერ განაცხადების წარდგენის ვადას არაუმეტეს 15 კალენდარული დღისა;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე უმაღლესი საბჭოს უმრავლესობასთან (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციებთან), უმრავლესობის გარეთ დარჩენილ უმაღლესი საჭოს წევრებთან (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრებთან) კონსულტაციების შედეგად უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკონკურსო კომისიის წევრთა

კანდიდატურებს, რომლებსაც უმაღლესი საბჭო დაამტკიცებს დადგენილებით – სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

გ) მრჩევლობის კანდიდატთა შერჩევის შემდეგ საკონკურსო კომისია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობას (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციებს), უმრავლესობის გარეთ დარჩენილ უმაღლესი საბჭოს წევრებს (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრებს) წარუდგენს ასარჩევზე სულ ცოტა სამჯერ მეტ კანდიდატურას;

დ) საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ მრჩევლობის კანდიდატებს შორის საჯარო დებატები, რომელიც გაიმართება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მრჩეველთა არჩევამდე გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ეთერით;

ე) საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეულ მრჩევლობის კანდიდატთაგან სამს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობა (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციები), ხოლო ორს უმრავლესობის გარეთ დარჩენილი უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედი (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედი) წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ასარჩევად. აღნიშნული სუბიექტები კანდიდატებს შეარჩევენ და კანდიდატურებს წარადგენენ შემდეგი რიგითობით: თავდაპირველად – უმრავლესობის გარეთ დარჩენილი უმაღლესი საბჭოს წევრები (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრები), ხოლო შემდეგ – უმრავლესობა (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციები). უმრავლესობის მიერ შერჩეული კანდიდატების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას ხელს აწერენ უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების თავმჯდომარეები. უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის გარეთ დარჩენილი უმაღლესი საბჭოს წევრების (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრების) მიერ შერჩეული კანდიდატების წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებას ხელს აწერენ უმაღლესი საბჭოს ის წევრები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს მათ წარდგენაზე. უმაღლესი საბჭოს ერთ წევრს მხოლოდ ერთი პირის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილებაზე შეუძლია ხელის მოწერა;

ვ) თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არ არსებობს უმრავლესობა, მრჩევლის კანდიდატურის წარდგენის უფლება ეძლევა ყველა ფრაქციას და ფრაქციის მიღმა დარჩენილ უმაღლესი საბჭოს წევრებს;

ზ) თუ უფლებამოსილება შეუწყდა მრჩეველს, რომელიც წარდგენილი იყო უმრავლესობის (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციების) მიერ და ვაკანსიის გამოცხადების დროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არ არსებობს უმრავლესობა, ახალი მრჩევლის კანდიდატურის წარდგენის უფლების მქონე სუბიექტი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენი ხმით იყო არჩეული მრჩეველი, რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა. ამ შემთხვევაში მოქმედებს კანონპროექტით გათვალისწინებული 35^5 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესი;

თ) საკონკურსო კომისიის მიერ მრჩევლობის კანდიდატთა შერჩევიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ცალ-ცალკე ირჩევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციების) და უმრავლესობის გარეთ დარჩენილ უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედის) მიერ წარდგენილ კანდიდატებს. თუ ვაკანსია ერთზე მეტია და ისინი უნდა შეივსოს უმაღლესი საბჭოს

უმრავლესობის (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციების) და უმრავლესობის გარეთ დარჩენილი უმაღლესი საბჭოს წევრების (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრების) კვოტებით, ჯერ აირჩევა კანდიდატი უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის გარეთ დარჩენილი უმაღლესი საბჭოს წევრების (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრების) კვოტით და შემდეგ – კანდიდატი უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციების) კვოტით;

ი) თუ მრჩევლობის კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევისათვის საკმარისი ხმები, უმაღლესი საბჭოს უმრავლესობა (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციები) და უმრავლესობის გარეთ დარჩენილ უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედი (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მეოთხედი) 10 კალენდარული დღის ვადაში წარუდგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს ახალ კანდიდატურებს;

კ) თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო არჩევისათვის საკმარისი ხმები, არჩეულად ითვლება კანდიდატი, რომელმაც დააგროვა ყველაზე მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის ხმებისა. ყველაზე მეტი ხმის მიმღები კანდიდატი აირჩევა უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის (უმრავლესობის არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს ფრაქციების) და უმრავლესობის გარეთ დარჩენილ უმაღლესი საბჭოს წევრთა (უმრავლესობის გარეთ დარჩენილი წევრების არარსებობის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრთა) არანაკლებ ერთი მეოთხედის კვოტებით.

გარდა აღნიშნულისა პროექტით ამავე მუხლში გათვალისწინებულია სხვა ტექნიკური და რედაქციული ხასიათის ცვლილებები.

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის კანონის 35[6] მუხლის მე-3 პუნქტში. კერძოდ, მრჩევლის მიერ კანონით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის ნორმების დარღვევისა და ზედიზედ 2 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით მრჩევლის უფლებამოსილების განუხორციელებლობისას, მრჩეველს უფლებამოსილება ვადამდე შეიძლება შეუწყდეს უმაღლესი საბჭოს დადგენილებით, რომლის მისაღებად საკმარისი იქნება უმაღლესი საბჭოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მახარდაჭერა, ნაცვლად დღეს მოქმედი 3/5-ისა.

აღნიშნულ საკანონმდებლო ინიციატივაზე საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული განხილვის პროცედურები კომიტეტებში.

კანონპროექტის ავტორია – პეტრე ზამბახიძე.

როგორც წამყვანმა კომისიამ, უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სხვადასხვა სუბიექტების მიერ წარმოდგენილი შემდეგი სამართლებრივი აქტის პროექტები, რომლებიც მიღებულია უმაღლესი საბჭოს მიერ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“. ***(ინიციატორები: პეტრე ზამბახიძე და ეკატერინე თარგამაძე. მიღებულია: 18.09.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 23.09.2014.)***

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში კონკურისა და ატესტაციის ჩატარების წესის და საკონკურსო-სააატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2009

წლის 15 სექტემბრის №48 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე". *(ინიციატორი: თემურ კახიძე. მიღებულია: 18.12.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 22.12.2014.)*

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ". *(ინიციატორები: პეტრე ზამბახიძე და ასმათ დიასამიძე. მიღებულია: 18.12.2014. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 29.12.2014.)*

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: დავით ბაციკაძე. მიღებულია: 05.02.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 13.02.2015.)*

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე". *(ინიციატორი: საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია. მიღებულია: 14.05.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 18.05.2015.)*

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორი: საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია. მიღებულია: 14.05.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 18.05.2015.)*

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე. *(ინიციატორები: პეტრე ზამბახიძე და ეკატერინე თარგამაძე. მიღებულია: 14.05.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 18.05.2015.)*

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე. *(ინიციატორი: თემურ კახიძე. მიღებულია: 21.05.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.05.2015.)*

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება - „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე. *(ინიციატორი: თემურ კახიძე. მიღებულია: 21.05.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 28.05.2015.)*

10. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე". *(ინიციატორი: მედეა ვასაძე. მიღებულია: 18.06.2015. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 19.06.2013.)*

საკადრო და პერსონალურ საკითხებთან დაკავშირებით კომისიის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულია 12 დადგენილება.

უმაღლესი საბჭოს მიერ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები მიღებულია ფარული კენჭისყრით. ფარული კენჭისყრის პროცედურები ჩატარებულია კომისიის მიერ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით განსაზღვრული პროცედურებით.

კომისიის მიერ რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, განხილულ იქნა უმაღლესი საბჭოში 2 ახალი ფრაქციის რეგისტრაციის საკითხი.

საბიუჯეტო პროცესი

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2014 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015-2018 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის ბიუჯეტის შემცირების პროექტი.

პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტების განხილვა

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში განხილულია პარლამენტიდან შემოშული კანონპროექტები, მათ შორის:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. (ინიციატორი: საქართველოს მთავრობა)

კანონპროექტზე თანდართულ განმარტებით ბარათში აღნიშნული იყო, რომ პროექტით იცვლებოდა 126[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული სანქციები. გარდა აღნიშნულისა კანონპროექტი ცვლილებას ითვალისწინებდა 126[1] მუხლის შენიშვნაში, სადაც ემატება, რომ ოჯახის წევრად, გარდა შენიშვნაში ჩამოთვლილი პირებისა, აგრეთვე ითვლებოდა პირები, რომლებიც „მუდმივად“ ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

კანონპროექტის კომისიის სხდომაზე განხილვის შედეგად გადაწყდა, რომ 2012 წლის 12 ივნისის №6434-რს კანონის გათვალისწინებით, რომლითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 11[1] მუხლი – პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ 126[1] მუხლის შენიშვნის ნაწილში პროექტით გათვალისწინებული ცვლილების პარლამენტის მიერ გაზიარების შემთხვევაში, ანალოგიური ცვლილება შესულიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლის შენიშვნაში. კომისიის აღნიშნული მოსაზრება გათვალისწინებული იქნა პარლამენტის მიერ.

2. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (ინიციატორი: აფხაზეთის ა.რ. უმაღლესი საბჭო)

აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით კომისიის შენიშვნები და წინადადებები განხილულ იქნა, ხოლო ნაწილი გაზიარებული პარლამენტის მიერ.

3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (ინიციატორი: ფრაქცია „ქართული ოცნება - რესპუბლიკელები“)

აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით კომისიის შენიშვნები და წინადადებები წარდგენილი იქნა პარლამენიტსათვის, თუმცა ინიციატივის განხილვა შეჩერებულია პარლამენტში.

4. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტები. (ინიციატორი: საქართველოს მთავრობა)

ახალ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით კომისიის მიერ საკმოდ მოცულობითი შენიშვნები და წინადადებები იქნა გაგზავნილი პარლამენტის შესაბამისი კომიტეტისათვის, რომელთა განხილვაც პარლამენტის 2015 წლის საშემოდგომო სესიაზე მოხდება.

სხვადასხვა

საანგარიშო პერიოდში საკანომდებლო საქმიანობასთან ერთად კომისიის თავმჯდომარე და წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში, მათ შორის ამომრჩევლებთან შეხვედრებში.

სტატისტიკური მონაცემები საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ

საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები	მათ შორის კომისიის (წევრების) ინიცირებული (მომზადებული)
32	19

წამყვანი კომისიის რანგში კომისიის მიერ მომზადებული და უმაღლესი საბჭოს სხდომებზე წარდგენილი საკითხების სტატისტიკა

მომზადებული და წარდგენილი საკითხების რაოდენობა
10
8 - საკადრო საკითხებთან დაკავშირებით

კომისიის სხდომების სტატისტიკა

სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი	მიღებული დასკვნა
28	57	37
შენიშვნა:	საანგარიშო პერიოდში კომისიის მონაწილეობით ჩატარებულია 4 ერთობლივი სხდომა. საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ ჩატარებულია 1 გასვლითი სხდომა ქალაქ ბათუმში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში.	

კომისიაში შემოსული და კომისიიდან გასული კორესპონდენციის სტატისტიკა

შემოსული კორესპონდენცია	გასული კორესპონდეცია
378	209

კომისიის წევრების მიერ მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

მიღებულ მოქალაქეთა რაოდენობა	
384	
შენიშვნა:	მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა მომზადებულია საქმისწარმოების განყოფილების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით